



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგრებელო



განკარგულება № 148

“— 11 —” აპრილი 2023 წ.

ა. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ხაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.11.505; №81.02.11.506; №81.02.38.266; №81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 მარტის №23.382.437 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.11.505; №81.02.11.506; №81.02.38.266; №81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012229926-67 (№01223473548-67; №01230453634-67; №01230694-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (შესამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.382.437
22 / მარტი / 2023 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.38.266; N81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 26 ოქტომბერს N012229926-67 (N01223473548-67; N01230453634-67; N01230694-67) განცხადებით მიმართა გიორგი გეთილაძემ (პ/ნ 01024060426) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.38.266; N81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.38.266; N81.02.11.507). საპროექტო არეალის ფართობი ჯამში შეადგენს 217 854კვ.მ-ს.

„დედაქალაქის მიწათასარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათასარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რეგის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფტ) და სატყეო ზონა; გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სატყეო ზონა.

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N122 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

საპროექტო წინადადებით ტერიტორიაზე იგეგმება საგანმანათლებლო კომპლექსის მოწყობა 1450 მოსწავლეზე; გამოყენებული ფუნქციები: საგანმანათლებლო; ადმინისტრაციული; დამხმარე; კვების; სპორტულ-გამაჟანსაღებელი; საერთო საცხოვრებელი და სარეკრეაციო; საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარება, რომელიც გამოყენებულ იქნება სამშენებლოდ, იგეგმება 1 მიწის ნაკვეთად.

საპროექტო ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეც-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატყეო ზონა.

სამშენებლო განვითარება იგეგმება მხოლოდ სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) ტერიტორიაზე; ხოლო, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფარგლებში დეტალური გეოლოგიის დასკვნების საფუძველზე, გათვალისწინებულია ბუნებრივსაფარიანი სპორტული მოედანი დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის გარეშე; ასევე, დაგეგმილია სატყეო ზონის კოფიგურაციის ცვლილება და ფართობის გაზრდა.

საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

სპეციალური ზონა 1-ში (სპეც-1) ფართობი - 30 755კვ.მ:



კ-1 - 0,5

კ-2 - 0,8

კ-3 - 0,2

მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა: 12 მეტრი/ 1-3 სართული, გარდა მთავარი საკომუნიკაციო სივრცისა - ატრიუმის, რომელიც რელიეფის სირთულიდან გამომდინარე შენობის ინტერიერში 5 სართულს მოიცავს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაშე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაშე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 9 მარტის N01230681395 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 15 მარტის N01230741159 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.38.266; N81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012229926-67 (N01223473548-67; N01230453634-67; N01230694-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბასმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.11.505; N81.02.11.506; N81.02.38.266; N81.02.11.507) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. ცონტროლი განკარგულების შესრულებაზე დავვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს განონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გახა კალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01230681395
თარიღი: 09/03/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 14 თებერვლის №01230453634-67 განცხადება, რომელიც ესება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.11.505; 81.02.11.506; 81.02.11.507; 81.02.38.266; არსებული ფუნქციური ზონირება: სატყეო ზონა და სასოფლო-სამურნეო ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სატყეო ზონა 1, სარეკრეაციო ზონა 2 და სატყეო ზონა; გამწვანებული ტერიტორიის თემატური რუკა: სატყეო ზონა) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნების საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 45 ძირი (ს/კ: 81.02.11.506 - №1; №3-4; №139-141; №155-156; ს/კ: 81.02.11.507 - №13; №36; №40; №42; №47; №54-55; №57; №59; №60-61; №76; №80; №83-84; №86-87; №93; №97; №99; №101; №106; №112; №136; №143; №147; №150; №154-155; №162; №172; №190; №198; №200; №205-206; №212) მწვანე ნარგავი განცემუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე წლის №11-58 დადგნილების (შემდგომში - დადგნილება) მუხლის მე-5 პუნქტის თანხმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოადნიშნული მწვანე ნარგავები განცემუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და მხოლოდ 6 მათგანის დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 119 ძირი (ს/კ: 81.02.11.506 - №8; №15; №16; №22-24; №26-31; №52; №59; №60-61; №67-69; №73-78; №90-92; №96-98; №111; №115-116; №118-120; №142-143; №149; №151-154; №178-180; №182-183; №185; №588; №590; ს/კ: 81.02.11.507 - №1; №10; №11; №37-38; №41; №44; №46; №48; №51; №53; №58; №63-64; №72-73; №75; №78-79; №85; №88-89; №95-96; №98; №102-105; №107-111; №133; №135; №139-140; №142; №148-149; №151-153; №156-159; №163-167; №174; №180-183; №199; №201; №207-211; №213; №215) ჯანსაღი ძევი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზემელი/მობადი ზემდებარებული საგონიანო გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას ერთი ძირი (ს/კ: 81.02.11.507 - №197) ხმობადი ძევი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემმღებლი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 14 ძირი მწვანე ნარგავის დაიმუტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებული მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმად გადაირგოს ზემოადნიშნული 14 ძირი (ს/კ: 81.02.11.507 - №21; №24; №39; №52; №56; №62; №94; №100; №134; №141; №160-161; №204; №214) მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი ერთი ძირი (ს/კ: 81.02.11.507 - №82 D=20; 35) ბალამწარას დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25

სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგინდების მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმა გადარგვის ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავი შეენბლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროცესის დრის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მასზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციექნიგა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროცესის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-ტცებულების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 275 ძეგვი, 45 ძირი ხეშავი, 37 ძირი ბალამწარა, 37 ძირი თელა ჩვეულებრივი, 36 ძირი აილანთუსი, 22 ძირი კავკასიური აკაკი, 13 ძირი შინდანწლა, 10 ძირი შავჯაგა, 10 ძირი ტირიფი, 7 ძირი იფანი, 6 ძირი ნეკერჩხალი, 5 ძირი ჯაგრცხილა, 2 ძირი მდგნალი, ერთი ძირი თუთა, ერთი ძირი მუხა, ერთი ძირი თხილი და საპროექტოდ დასარგავი: 450 ძირი აღეპოს ფიჭვი, 200 ძირი რობინია (ცრუაგაცია), 200 ძირი კელრუტერია, 150 ძირი კავკასიური აკაკი, 150 ძირი ჰიმალაის კედარი, 100 ძირი ჭადარფოთოლა ხეკერჩხალი, 100 ძირი იფანი ჩვეულებრივი, 100 ძირი არღავანი, 100 ძირი მარადმწვანე მუხა, 100 ძირი იაბონური ძელჭვა, 100 ძირი თეთრი იფანი, 100 ძირი სამეკალა გლებიჩია, 100 ძირი იალღუნი, 80 ძირი მელია აზადერახი, 80 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 80 ძირი იაბონური სოფურა, 50 ძირი ჭალაფშატი, 50 ძირი უნაყოფო თუთა, 40 ძირი წითელა ტყებმალი, 30 ძირი ბრუსნეცია - ჯამში: 2 868 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტოდ გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**60 150 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-ტცენარების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის 05.04.14.7 განვაგულებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროცესი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროცესის ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზომოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

აქვე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე გასაშენებელი მწვანე ნარგავები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფუსვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები) სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; დეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფუსვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3,5 მეტრი, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; დეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქართველო
სამართლის იურიდიკული კირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01230741159

თარიღი: 15/03/2023

2023 წლის 10 მარტის N 01230694-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.11.507, 81.02.38.266, 81.02.11.506, 81.02.11.505) საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.


აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 16 თებერვლის N 01220476-67 განცხადების პასუხად N 01220522542 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო პლანი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.


ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი






ကျော်ကျော်	အမှတ် ၁၇	လုပ်ငန်းရန်	၂၀၁၀/၂၁၁၃	မြန်မာနိုင်ငြန်	မြန်မာနိုင်ငြန်	မြန်မာနိုင်ငြန်	မြန်မာနိုင်ငြန်
ကျော်ကျော်	အမှတ် ၁၇	လုပ်ငန်းရန်	၂၀၁၀/၂၁၁၃	မြန်မာနိုင်ငြန်	မြန်မာနိုင်ငြန်	မြန်မာနိုင်ငြန်	မြန်မာနိုင်ငြန်




განერაციას და გადახდის მიზანი	მოვლენის და მიზანის განვითარების კუთხით		არიტმეტიკური განვითარების მარტივი მიზანი	მიზანის განვითარების მარტივი მიზანი	მიზანის განვითარების მარტივი მიზანი
	მიზანი	მიზანის განვითარების მარტივი მიზანი			
მასშტაბი	21/10/22	მასშტაბი 1:2500 1:500; 1:200	საქართველოს კარგის განვითარების მიზანი	შ.კ.ს. „საქართველოს განვითარების აღზე“ სახელი: 400211059	მთავრი არიტმეტიკური: გ. ლომიძე
ფორმა	A-0	ფორმა 18			კალაბრი თაბლიკი, სრულ გამარტივებული ტ. 81.02.11.505; 81.02.11.506; 81.02.11.507; 81.02.38.266




სარაგისის დასახლები	ლავროვის ქუჩა 10	0	0 მცხველობის მიზნით
რეგისტრირებული დასახლები	საკუთრივი დასახლება ქართლის მხარის ხაშუავის მუნიციპალიტეტის ხაშუავის საბჭოს არივა - 400071 სახ.	სამართლის მიზნით და ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით	სამართლის მიზნით და ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით


ગુરુવાર ૧-૧



၃၆၀၀၁၂-၂



ગુજરાત ૩-૩



2000 JGIM / Vol 13 No 3 May 2000

